

ტიპობრივი საბამოცლო შეკითხვები

მიკრობიოლოგია 2-ში

(ვირუსოლოგია, მიკოლოგია, პროტოზოოლოგია, ბაქტერიოლოგია)

ვირუსოლოგია

1. რომელი თავისებურება ახასიათებს ადამიანისთვის პათოგენურ რნმ-შემცველ ვირუსებს?
2. რომელი ოჯახი ეკუთვნის რნმ-შემცველ ვირუსებს?
3. ვირუსების რომელი ოჯახის წარმომადგენლებს აქვთ დადებითი პოლარობის ერთჯაჭვიანი რნმ?
4. ვირუსების რომელი ოჯახის წარმომადგენლებს აქვთ უარყოფითი პოლარობის ერთჯაჭვიანი რნმ?
5. ვირუსების რომელი ოჯახის წარმომადგენლებს გააჩნიათ ორჯაჭვიანი რნმ?
6. ვირუსების რომელი ოჯახის წარმომადგენლები არიან დიპლოიდურები ანუ გააჩნიათ რნმ-ის ორი იდენტური მოლეკულა?
7. რა თავისებურებით ხასიათდება უარყოფითი პოლარობის რნმ-შემცველი ვირუსები?
8. რა თავისებურებით გამოირჩევა რეტროვირუსების გენომი?
9. რა თავისებურებებით ხასიათდება Picornaviridae-ს ოჯახის წარმომადგენლები?
10. რომელი გვარები შედიან Picornavirida-ს ოჯახში?
11. რომელი სახეობა შედის Enterovirus-ის გვარში?
12. რომელ გვარს მიეკუთვნება პოლიომიელიტის გამომწვევი?
13. რა წარმოადგენს პოლიომიელიტის ვირუსის ინფექციის კარიბჭეს?
14. უპირატესად რომელ ქსოვილებს და ორგანოებს აზიანებს პოლიომიელიტის ვირუსი?
15. როგორი ანტიგენური თავისებურება ახასიათებს პოლიომიელიტის ვირუსს?
16. რა თავისებურებით ხასიათდება პოლიომიელიტის საწინააღმდეგო სოლკის ვაქცინა?
17. რომელ ოჯახს ეკუთვნის კოქსაკი A-ს ვირუსი?
18. რომელ ოჯახს ეკუთვნის კოქსაკი B-ს ვირუსი?
19. როგორი მორფოლოგიური თავისებურებაა ხასიათდება კოქსაკი A ვირუსი?
20. რომელი პათოგენური თავისებურება ახასიათებს კოქსაკი A-ს ვირუსს?
21. რომელი პათოგენური თავისებურება ახასიათებს კოქსაკი B-ს ვირუსს?
22. რომელია კოქსაკის ვირუსის გადაცემის ძირითადი გზა?
23. კოქსაკის ვირუსით გამოწვეული ინფექციის შემთხვევაში რომელ მასალას იკვლევენ მიკრობიოლოგიურად?
24. რომელ ოჯახში შედის ECHO-ს ვირუსი?
25. რომელ გვარს ეკუთვნის ECHO-ს ვირუსი?
26. რომელი პათოგენური თავისებურება ახასიათებს ECHO-ს ვირუსს?
27. ვირუსების რომელ ოჯახს ეკუთვნის რინოვირუსების?
28. ვირუსების რომელ ოჯახში შედის თურქულის ვირუსი?
29. ვირუსების რომელ გვარში შედის თურქულის ვირუსი?
30. რა წარმოადგენს თურქულის გამომწვევი ვირუსის დამახასიათებელ მორფოლოგიურ თავისებურებას?
31. ძირითადად რა წარმოადგენს თურქულის ვირუსის ინფექციის წყაროს?
32. რომელ ოჯახს ეკუთვნის ნორვოლკის ვირუსი?
33. რომელი ვირუსი შედის Caliciviridae-ს ოჯახში?
34. რომელი ნიშნით წააგავს Caliciviridae-ს ოჯახის წარმომადგენლები Picornaviridae-ს წარმომადგენლებს?
35. რომელი მორფოლოგიური თვისება ახასიათებს Caliciviridae-ს ოჯახის წარმომადგენლებს?
36. რომელი ქვეოჯახი შედის რეტროვირუსების ოჯახში?
37. რომელ ოჯახში შედის ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი?

38. უპირატესად რომელი ნოზოლოგიაა დამახასიათებელი ოპორტუნისტული (თანმხლები) შიდსით დაავადებულებისთვის?
39. უპირატესად ადამიანის რომელი უჯრედებისადმი გააჩნიათ ტროპიზმი შიდსის აღმკვეთ რეტროვირუსებს?
40. რა წარმოადგენს აივ-ის მორფოგენეზის თავისებურებას?
41. რა წარმოადგენს აივ-ის გლიკოპროტეინებისათვის დამახასიათებელი თავისებურებას?
42. რომელია აივ-ის გავრცელების უპირატესი გზა?
43. უპირატესად რომელ დაზიანებას რომელს იწვევს აივ?
44. უპირატესად რომელი მეთოდით ხდება შიდსის დაიგნოსტიკა?
45. რომელია აივ-ის შებრუნებითი ტრანსკრიპტაზას ინჰიბიტორი?
46. რომელი ორი ჯგუფის უჯრედების დამაზიანებელი ვირუსები შედიან Reoviridae-ს ოჯახში?
47. ვირუსების რომელი გვარი ეკუთვნის Reoviridae-ს ოჯახს?
48. რომელი მორფოლოგიური თავისებურებაა დამახასიათებელი Reoviridae-ს ოჯახის წარმომადგენლებისთვის?
49. ვირუსების რომელ ოჯახს ეკუთვნის Reovirus-ის გვარის ვირუსები?
50. რომელი მორფოლოგიური თავისებურება ახასიათებს რეოვირუსების გვარის ვირუსებს?
51. რომელი თავისებურებაა დამახასიათებელი რეოვირუსის გვარის წარმომადგენლების რეპროდუქციისათვის?
52. რომელ ინფექციებ იწვევს რეოვირუსების გვარის წარმომადგენლები?
53. რომელია რეოვირუსების გვარის წარმომადგენლების გადაცემის ძირითადი გზა?
54. ვირუსების რომელ ოჯახს ეკუთვნის როტავირუსების გვარი?
55. რომელი მორფოლოგიური ნიშანი ახასიათებს როტავირუსებს?
56. რომელია როტავირუსული ინფექციით დასენიანების მექანიზმი?
57. უპირატესად რომელი სიმპტომი არის გამოხატული როტავირუსული ინფექციის დროს?
58. რითი ტარდება ბავშვებში როტავირუსული ინფექციის საწინააღმდეგო აქტიური იმუნიზაცია?
59. ვირუსების რომელ ოჯახს ეკუთვნის ორბივირუსების გვარის წარმომადგენლები?
60. რეოვირუსების ოჯახის რომელი გვარის წარმომადგენელია კემეროვოს ცხელების გამომწვევი?
61. რეოვირუსების ოჯახის რომელი გვარის წარმომადგენელია ცხვრების ლურჯი ენის ცხელების გამომწვევი?
62. დაინფიცირების რომელი გზა ახასიათებს კემეროვოს ცხელების ვირუსს?
63. რა წარმოადგენს ცხვრების ლურჯი ენის ცხელების გამომწვევი ვირუსის ვექტორს?
64. ვირუსების რომელ ოჯახში შედის კოლორადოს ცხელების ვირუსი?
65. ვირუსების რომელ გვარში შედის კოლორადოს ცხელების ვირუსი?
66. რომელი მორფოლოგიური თავისებურება ახასიათებს კოლორადოს ცხელების გამომწვევ ვირუსს?
67. რომელი გვარი შედის Togaviridae-ს ოჯახში?
68. რა წარმოადგენს Togaviridae-ს ოჯახის წარმომადგენლების დამახასიათებელ მორფოლოგიურ თავისებურებას?
69. როგორი თავისებურებით ხასიათდება Togaviridae-ს ოჯახის წარმომადგენლების რეპროდუქცია?
70. რა ახასიათებს Togaviridae-ს ოჯახის არბოვირუსების მიერ გამოწვეულ ინფექციებს?
71. უპირატესად სად ხდება Togaviridae-ს ოჯახის არბოვირუსები წარმომადგენლების დაგროვება?
72. რომელ ოჯახში შედის ალფავირუსების გვარი?
73. რომელი ვირუსი ეკუთვნის ალფავირუსების გვარს?
74. უპირატესად რომელი გზით გადაეცემა ალფავირუსული ინფექციები?
75. რომელ უჯრედებში შეიძლება მიმდინარეობდეს ალფავირუსების პირველადი რეპროდუქცია?
76. ვირუსების რომელ ოჯახში შედის სინდბისის ცხელების ვირუსი?
77. ვირუსების რომელ გვარში შედის სინდბისის ცხელების ვირუსი?
78. რა გზით ხდება სინდბისის ვირუსით დაინფიცირება?

79. ვირუსის რომელ ოჯახში შედის სემლიკის ტყის ცხელების ვირუსი?
80. ვირუსების რომელ გვარს ეკუთვნის სემილიკის ტყის ცხელების ვირუსი?
81. უპირატესად რა წარმომადგენს სემილიკის ტყის ცხელების ვირუსის რეზერვუარს?
82. ვირუსების რომელ ოჯახში შედის ჩიკუნგუნიას ვირუსი?
83. ვირუსების რომელ გვარს ეკუთვნის ჩიკუნგუნიას ვირუსი?
84. გადაცემის რომელი მექანიზმია დამახასიათებელი ჩიკუნგუნიას ვირუსისთვის?
85. რით ხდება უზრუნველყოფს ჩიკუნგუნიას ვირუსის ჯუნგლის ტიპის ცირკულაციას ბუნებაში?
86. ვირუსების რომელ ოჯახში შედის ო ნიონგ-ნიონგის ცხელების გამომწვევი?
87. ვირუსების რომელ გვარში შედის ო ნიონგ-ნიონგის ცხელების გამომწვევი?
88. ვინ წარმომადგენს ო ნიონგ-ნიონგის ცხელების ვირუსი რეზერვუარს და წყაროს?
89. ვირუსების რომელ ოჯახში შედის ცხენების (ვენესუელის) ენცეფალომიელიტის გამომწვევი?
90. რომელ გვარს ეკუთვნის ცხენების (ვენესუელის) ენცეფალომიელიტის ვირუსი?
91. ტოგავირუსული ინფექციებიდან რომელის რეზერვუარი და წყარო არის ადამიანი?
92. რომელია ცხენების (ვენესუელის) ენცეფალომიელიტის დასნებოვნების მექანიზმი?
93. რომელი პრეპარატი გამოიყენება ცხენების (ვენესუელის) ენცეფალომიელიტის სპეციფიური მკურნალობისთვის?
94. რას იყენებენ ცხენების (ვენესუელის) ენცეფალომიელიტის სპეციფიური პროფილაქტიკისათვის?
95. ვირუსების რომელ ოჯახში შედის ცხენების აღმოსავლეთი ენცეფალომიელიტის გამომწვევი?
96. რომელი გვარის წარმომადგენელია ცხენების აღმოსავლეთი ენცეფალომიელიტის ვირუსი?
97. რა წარმომადგენს ცხენების აღმოსავლეთის ენცეფალომიელიტის ვირუსის ძირითად რეზერვუარს?
98. უპირატესად რომელი გზით ვრცელდება ცხენების აღმოსავლეთის ენცეფალომიელიტის ვირუსი?
99. ვირუსების რომელ ოჯახში შედის ცხენების დასავლეთის ენცეფალომიელიტის ვირუსი?
100. რომელი გვარის წარმომადგენელია ცხენების დასავლეთის ენცეფალომიელიტის ვირუსი?
101. რომელია ცხენების დასავლეთის ენცეფალომიელიტის ვირუსის ბუნებრივი რეზერვუარი?
102. რა თავისებურებით ხასიათდება ცხენების დასავლეთის ენცეფალომიელიტის იმუნიტეტი?
103. ვირუსების რომელ ოჯახში შედის წითურას გამომწვევი ვირუსი?
104. რომელ გვარს ეკუთვნის წითურას ვირუსი?
105. რა თავისებურებით ხასიათდება წითურას ვირუსის ანტიგენი?
106. რა თავისებურებით ხასიათდება წითურას ვირუსის რეპროდუქცია?
107. სად ხდება წითურას ვირუსის პირველადი რეპროდუქცია?
108. რა თავისებურებით ხასიათდება წითურას იმუნიტეტი?
109. რომელია წითურას გადაცემის ძირითადი გზა?
110. რომელია შექმნილი წითურას გართულება?
111. რომელი ვირუსი ითვლება ფლავივირუსების ოჯახის ტიპურ წარმომადგენლად?
112. რომელი ვირუსი ეკუთვნის ფლავივირუსების ოჯახს?
113. ვირუსების რომელი ქვეჯგუფი შედის ფლავივირუსების ოჯახში?
114. რას წარმოადგენს ფლავივირუსების ოჯახის წარმომადგენლების გენომი?
115. რომელი თავისებურება უკავშირდება ფლავივირუსების ოჯახის წარმომადგენლების რეპროდუქციას?
116. რომელი თავისებურებაა დამახასიათებელი ფლავივირუსების გვარის წარმომადგენლებისთვის?
117. ვირუსების რომელ ოჯახს ეკუთვნის ყვითელი ცხელების ვირუსი?
118. რომელია ყვითელი ცხელების ჯუნგლის ტიპის ინფექციის წყარო?
119. რომელია ყვითელი ცხელების გადამტანები?
120. ვირუსების რომელ ოჯახს ეკუთვნის დენგეს ცხელების ვირუსი?
121. რომელი თავისებურებაა დამახასიათებელი დენგეს ცხელების კლინიკისთვის?

122. რა წარმოადგენს დენგეს ცხელების ინფექციის რეზერვუარს?
123. რა წარმოადგენს დენგეს ცხელების ვირუსის გადამტანებს?
124. რა წარმოადგენს დენგეს ცხელების სპეციფიურ საპროფილაქტიკო საშუალებას?
135. ვირუსის რომელი ოჯახს ეკუთვნის იაპონური ენცეფალიტის ვირუსი?
126. რომელი თავისებურებით ხასიათდება იაპონური ენცეფალიტის იმუნიტეტი დაავადების გადატანის შემდეგ?
127. რას იყენებენ იაპონური ენცეფალიტის სპეციფიური პროფილაქტიკისათვის?
128. ვირუსების რომელ ოჯახს ეკუთვნის ტკიპისმიერი ენცეფალიტის ვირუსი?
129. რომელია ტკიპისმიერი ენცეფალიტის ვირუსის გადამტანი?
130. ვირუსების რომელ ოჯახს ეკუთვნის კიასანურის ტყის დაავადების გამომწვევი?
131. ვირუსების რომელ გვარის წარმომადგენელია კიასანური ტყის დაავადების გამომწვევი?
132. რა წარმოადგენს კიასანური ტყის დაავადების გამომწვევის რეზერვუარს?
133. რას იყენებენ კიასანურის ტყის დაავადების გამომწვევის სპეციფიკური პროფილაქტიკისათვის?
134. ვირუსების რომელ ოჯახს ეკუთვნის დასავლეთ ნილოსის ცხელების გამომწვევი?
135. ვირუსების რომელ გვარს მიეკუთვნება დასავლეთ ნილოსის ცხელების გამომწვევი?
136. რომელია დასავლეთ ნილოსის ცხელების გამომწვევის გადამტანი?
137. რა წარმოადგენს დასავლეთ ნილოსის ცხელების გამომწვევის რეზერვუარს?
138. რომელი გვარი შედის Bunyaviridae-ს ოჯახში?
139. Bunyavirida-ს ოჯახის რომელი გვარის წარმომადგენლები არ არიან პათოგენურები ადამიანისთვის?
140. რა წარმოადგენს ბუნიავირუსული ინფექციის სპეციფიკურ სამკურნალო საშუალებას?
141. რა თავისებურებით ხასიათდება ბუნიავირუსების რეპროდუქცია?
142. რომელი ვირუსი მიეკუთვნება Bunyavirus-ის გვარს?
143. რომელ ოჯახს მიეკუთვნება კალიფორნიული ენცეფალიტის ვირუსი?
144. რომელ გვარს მიეკუთვნება კალიფორნიული ენცეფალიტის ვირუსი?
145. რა წარმოადგენს Bunyavirus-ის გვარის ვირუსების ძირითად რეზერვუარს?
146. რომელ ოჯახში შედის ლა-კროსის ცხელების ვირუსი?
147. რომელ გვარს მიეკუთვნება ლა-კროსის ცხელების ვირუსი?
148. რომელია ლა-კროსის ცხელების ვირუსით დაინფიცირების ძირითადი მექანიზმი?
149. რომელ ოჯახს მიეკუთვნება მოსკიტური ცხელების ვირუსი?
150. ვირუსების რომელ გვარს მიეკუთვნება მოსკიტური ცხელების გამომწვევი?
151. რომელი ვირუსი იწვევს პაპატაჩის ცხელებას?
152. რომელია "სამდლიანი ცხელების" გამომწვევი ვირუსი?
153. რა თავისებურებით ხასიათდება ტოსკანური ცხელების პოსტინფექციური იმუნიტეტი?
154. რომელ ოჯახში შედის რიფტ-ვალის ცხელების ვირუსი?
155. რომელ გვარში შედის რიფტ-ვალის ცხელების ვირუსი?
156. რომელ ოჯახში შედის ყირიმ-კონგოს ცხელების ვირუსი?
157. რომელ გვარში შედის კონგო-ყირიმის ცხელების ვირუსი?
158. რომელია ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების გამომწვევის ძირითად რეზერვუარად?
159. როგორი ხასიათისაა კონგო-ყირიმის ჰემორაგიული ცხელების პოსტინფექციური იმუნიტეტი?
160. უპირატესად რომელი პრეპარატი გამოიყენება კონგო-ყირიმის ჰემორაგიული ცხელების სამკურნალოდ?
161. რომელ ოჯახში შედის თირკმლის სინდრომით მიმდინარე ჰემორაგიული ცხელების გამომწვევი?
162. რომელ გვარში შედის თირკმლის სინდრომით მიმდინარე ჰემორაგიული ცხელების ვირუსი?
163. რომელ ოჯახში შედის ჰანტავირუსული სინდრომის გამომწვევი?
164. რომელია თირკმლის სინდრომით მიმდინარე ჰემორაგიული ცხელების გამოწვევის სეროტიპი?
165. რომელი ეპიდემიოლოგიური თავისებურება არის დამახასიათებელი ჰანტავირუსული ინფექციებისთვის?

166. რომელი პრეპარატია მოწოდებული ჰანტანის ვირუსით გამოწვეული ინფექციების სამკურნალოდ?
167. რა მორფოლოგიური თავისებურება ახასიათებს არენავირუსების ოჯახის წარმომადგენლებს?
168. რომელი ვირუსი მეიკუთვნება *Arenaviridae*-ს ოჯახს?
169. რომელ ოჯახს მიეკუთვნება ლიმფოციტური ქორიონმენინგიტის ვირუსი?
170. რომელი თავისებურებაა დამახასიათებელი ლიმფოციტური ქორიონმენინგიტის გამომწვევის რეპროდუქციისათვის?
171. რა წარმოადგენს ლიმფოციტური ქორიონმენინგიტის გამომწვევის ძირითად მასპინძელს?
172. რომელ ოჯახში შედის ლასას ვირუსი?
173. რომელ ოჯახში შედიან ხუნინის და მჩუპოს ვირუსები?
174. რას იწვევენ ხუნინის და მჩუპოს ვირუსები?
175. რომელი ვირუსი იწვევს არგენტინულ ჰემორაგიულ ცხელებას?
176. რომელი ვირუსი იწვევს ბრაზილიურ ჰემორაგიულ ცხელებას?
177. რა წარმოადგენს საბიას ვირუსის რეზერვუარს?
178. ვირუსების რომელი გვარი შედის *Filoviridae*-ს ოჯახში?
179. რომელ ოჯახში შედის მარბურგის ვირუსი?
180. რომელ ოჯახში შედის ებოლას ვირუსი?
181. უპირატესად რა გზით გადაეცემა მარბურგის ვირუსი?
182. ადამიანისათვის პათოგენური ვირუსებიდან რომელი შედის *Rhabdoviridae*-ს ოჯახში?
183. რომელ ოჯახს ეკუთვნის ვეზიკულური სტომატიტის ვირუსი?
184. რომელ გვარს ეკუთვნის ვეზიკულური სტომატიტის ვირუსი?
185. რომელი ფესხასსრიანით ხდება ვეზიკულური სტომატიტის გადაცემა?
186. რომელ ოჯახს ეკუთვნის ცოფის ვირუსი?
187. ვირუსების რომელ გვარს ეკუთვნის ცოფის ვირუსი?
188. რა თავისებურებით ხასიათდება ცოფის ვირუსის რეპროდუქცია?
189. დაავადებული ცხოველიდან რისი საშუალებით ხდება ცოფის ვირუსი ადამიანის ორგანიზმში?
190. რა თავისებურებით განსხვავდება ცოფის “ფიქსირებული” ვირუსი “ქუჩის ვირუსისაგან”?
191. რა თავისებურებით ხასიათდება ანტირაბიული გამა-გლობულინი, რითაც განსხვავდება ანტირაბიული ვაქცინისგან?
192. რომელი პრეპარატი გამოიყენება ცოფის ვირუსის სპეციფიკური პროფილაქტიკისათვის?
193. სად მიმდინარეობს კორონავირუსების პირველადი რეპროდუქცია?
194. როგორი ტიპის იმუნიტეტი ვითარდება კორონავირუსული ინფექციის გადატანის შემდეგ?
195. რით ტარდება კორონავირუსული ინფექციების სპეციფიკური თერაპია?
196. ვირუსების რომელი გვარი შედის *Paramyxoviridae*-ს ოჯახში?
197. რომელი ვირუსი ეკუთვნის *Respirovirus*-ის გვარს?
198. რომელი ვირუსი ეკუთვნის *Rubulavirus*-ის გვარს?
199. რომელი ვირუსი ეკუთვნის *Morbilivirus*-ის გვარს?
200. რომელი ვირუსი ეკუთვნის *Pneumovirus*-ის გვარს?
201. რა მორფოლოგიური თავისებურებით ხასიათდებიან პარამიქსოვირუსების ოჯახის ვირუსები?
202. რომელი ქიმიური სტრუქტურული კომპონენტის არსებობაა დამახასიათებელი *Paramyxoviridae*-ს ოჯახის წარმომადგენლებისთვის?
203. რა თავისებურებით ხასიათდება *Paramyxoviridae*-ს ოჯახის წარმომადგენლების რეპროდუქციის პროცესი?
204. რომელ ოჯახს ეკუთვნის პარაგრძის ვირუსი?
205. ვირუსების რომელ გვარს ეკუთვნის პარაგრძის ვირუსი?
206. რომელი პათოგენური თვისებები ახასიათებს პარაგრძის ვირუსს?
207. რომელი პათოგენური თვისებები ახასიათებს ეპიდემიური პეროტიტის ვირუსს?

208. რომელი პრეპარატის გამოყენებაა შესაძლებელი პარაგრიპოზული ინფექციის თერაპიის მიზნით?
209. რომელ ოჯახში შედის პაროტიტის ვირუსი?
210. რომელ გვარში შედის პაროტიტის ვირუსი?
211. რომელი პათოგენური ნიშნებია დამახასიათებელი ყბაყურას ვირუსისთვის?
212. რომელია პაროტიტის ვირუსის შეჭრის კარიბჭე?
213. რა თავისებურებით ხასიათდება პაროტიტის პოსინფექციური იმუნიტეტი?
214. რით ტარდება ეპიდემიური პაროტიტის მიმართ იმუნიზაციას?
215. ვირუსების რომელ ოჯახში შედის სენდაის ვირუსი?
216. ვირუსების რომელ გვარში შედის სენდაის ვირუსი?
217. ვირუსების რომელ ოჯახს ეკუთვნის წითელას ვირუსი?
218. ვირუსების რომელ გვარს ეკუთვნის წითელას ვირუსი?
219. სად მიმდინარეობს წითელას ვირუსის პირველადი რეპროდუქცია?
220. თავისი ოჯახის სხვა წარმომადგენლებისგან განსხვავებით რომელი პათოგენობის ფაქტორი არ გააჩნია წითელას ვირუსს?
221. სად ვითარდება წითელას დროს ფილატოვ-კოპლიკის თეთრი, წითელ არშიანი ლაქები?
222. ვირუსის რომელი თვისებით არის განპირობებული წითელას შემთხვევაში მეორედი იმუნოდეფიციტი?
223. რომელი თავისებურებით ხასიათდება წითელას საწინააღმდეგო პოსტინფექციური იმუნიტეტი?
224. რით ტარდება წითელას მიმართ აქტიური იმუნიზაცია?
225. რისი საშუალებით ტარდება წითელას მიმართ პასური იმუნიზაცია?
226. რომელი ვირუსები შედიან Orthomyxoviridae-ს ოჯახში?
227. რომელ ოჯახს ეკუთვნის გრიპის ვირუსი?
228. რა მორფოლოგიური თავისებურებით ხასიათდება გრიპის ვირუსი?
229. ორგანიზმის რომელი ნივთიერებისადმი ტროპიზმს იჩენენ გრიპის ვირუსები?
230. რომელი თავისებურება ახასიათებს გრიპის ვირუსის ჰემაგლუტინინს?
231. რომელი თავისებურება ახასიათებს გრიპის ვირუსის ნეირამინიდაზას?
232. უპირატესად რომელი ტიპის გრიპის ვირუსისთვის არის დამახასიათებელი ჰემაგლუტინინისა და ნეირამინიდაზას ცილების ანტიგენური ცვალებადობა?
233. რომელი ანტიგენები განსაზღვრავენ A ტიპის გრიპის ვირუსის ვიწრო სპეციფიურობას?
234. მუტაციის რომელი ტიპი მიმდინარეობს მუდმივად და განპირობებულია წერტილოვანი მუტაციებით გრიპის ვირუსის გენომის იმ საიტებში, რომელიც პასუხისმგებელია ჰემაგლუტინინის და ნეირამინიდაზას ანტიგენური დეტერმინანტების სინთეზისა და აგებულებაზე?
235. მუტაციის რომელი ტიპია განპირობებული გრიპის ვირუსის ჰემაგლუტინინის ან ნეირამინიდაზას გარკვეული სახესხვაობის მაკოდირებელი გენის გადარჩევით და სრული შეცვლით?
236. რომელია გრიპის ვირუსის გადაცემის გზა?
237. რას იყენებენ A ტიპის გრიპის ვირუსის სამკურნალოდ და პრევენციისთვის?
238. რას იყენებენ გრიპის ვირუსის პასური პროფილაქტიკისათვის?
239. რას იყენებენ გრიპის აქტიური იმუნიზაციისთვის?
240. რომელი პრეპარატის გამოყენების შემთხვევაში ფორმირდება გრიპის მიმართ როგორც საერთო, ისე ადგილობრივი იმუნიტეტი?
241. რომელია დნმ-შემცველი ვირუსების ოჯახი?
242. რომელი ოჯახის წარმომადგენლები არიან რთული (გარსიანი) ვირუსები?
243. რომელი ოჯახის ვირუსის გენომია წარმოდგენილი ერთჯაჭვიანი ხაზოვანი დნმ-ით?
244. რომელი ოჯახის ვირუსის გენომია წარმოდგენილი ორჯაჭვიანი რგოლოვანი დნმ-ით?
244. რომელი გვარი შედის Adenoviridae-ს ოჯახში?
245. რა მორფოლოგიური თავისებურებით ხასიათდებიან Adenoviridae-ს ოჯახის წარმომადგენლები?
246. უპირატესად რას იწვევენ ადენოვირუსები?

247. ჩამოთვლილთაგან რომელია ადენოვირუსების ინფექციის წყარო?
248. რომელია ადენოვირუსული ინფექციის გადაცემის გზა?
249. რა შეიძლება იქნას გამოყენებული ადენოვირუსული ინფექციის ადრეული მკურნალობისთვის?
250. რა შეიძლება იქნას გამოყენებული ადენოვირუსული ინფექციის პროფილაქტიკისათვის?
251. ვირუსების რომელი გვარი შედის პარვოვირუსების ოჯახში?
252. რა წარმოადგენს პარვოვირუსების მორფოლოგიურ თავისებურებას?
253. Parvoviridae-ს ოჯახის რომელი გვარის წარმომადგენელს ესაჭიროება "დამხმარე" ვირუსის არსებობა?
254. ვირუსების რომელ ოჯახს ეკუთვნის Densovirus-ის გვარი?
255. ვირუსების რომელ ოჯახს ეკუთვები Dependovirus-ის გვარი?
256. რომელი ვირუსები შედიან Eritrovirus-ის გვარში?
257. რომელ ოჯახს ეკუთვნის B19 ვირუსი?
258. რა პათოლოგიის გამოწვევა შეუძლია B19 ვირუსს?
259. რომელია B19 ვირუსით დასნებოვნების გზა?
260. სად ხდება B19 ვირუსის პირველადი რეპროდუქცია?
261. უპირატესად რომელ უჯრედებს აზიანებს B19 ვირუსი?
262. რომელი ქვეოჯახი შედის Herpesviridae-ს ოჯახში?
263. ტროპიზმის მიხედვით რომელ კატეგორიას ეკუთვნიან ჰერპესვირუსები?
264. რა წარმოადგენს ჰერპესვირუსების დამახასიათებელ მორფოლოგიურ თავისებურებას?
265. რა თავისებურებით ხასიათდება ჰერპესვირუსების რეპროდუქციას?
266. რომელი ვირუსი მიეკუთვნება ალფაჰერპესვირუსების ქვეოჯახს?
267. რომელ ოჯახს ეკუთვნის მარტივი ჰერპესვირუსი სეროტიპი 1?
268. რომელ ქვეოჯახს ეკუთვნის მარტივი ჰერპესვირუსი სეროტიპი 1?
269. რომელ ოჯახს ეკუთვნის მარტივი ჰერპესვირუსი სეროტიპი 2?
270. რომელ ქვეოჯახს ეკუთვნის მარტივი ჰერპესვირუსი სეროტიპი 2?
271. მარტივი ჰერპესვირუსებით ჰაერ-წვეთოვანი დასნებოვნებისას სად მიმდინარეობს ვირუსის პირველადი რეპროდუქცია?
272. სად მიმდინარეობს მარტივი ჰერპესვირუსებით კონტაქტური დასნებოვნებისას ვირუსის პირველადი რეპროდუქცია?
273. უპირატესად რომელი გზით გადაეცემა მარტივი ჰერპესვირუსი სეროტიპი 2?
274. უპირატესად რომელი ჰერპესვირუსი იწვევს გინგივოსტომატიტს?
275. უპირატესად რომელი ჰერპესვირუსი იწვევს ფარინგიტს?
276. უპირატესად რომელი ჰერპესვირუსი იწვევს აფთოზურ სტომატიტის გავითარებას?
277. უპირატესად რომელი ჰერპესვირუსი იწვევს ჰერპესულ კერატიტს?
278. უპირატესად რომელი ჰერპესვირუსი იწვევს გენიტალური ჰერპესს?
279. სად ხდება მარტივი ჰერპესვირუსის სეროტიპ 1-ის პერსისტირება?
280. რას იწვევს მარტივი ჰერპესვირუსი სეროტიპი 2?
281. რას მოიცავს ჰერპესვირუსული ინფექციების ექსპრეს დიაგნოსტიკა?
282. რით ტარდება მარტივი ჰერპესვირუსებით გამოწვეული ინფექციების სპეციფიკური პროფილაქტიკა რემისიის პერიოდში?
283. რით ტარდება მარტივი ჰერპესვირუსებით გამოწვეული ინფექციების მკურნალობა?
284. რა დაავადებას იწვევს Varicella Zoster virus?
285. რომელ ოჯახს ეკუთვნის Varicella Zoster virus?
286. რა წარმოადგენს Varicella Zoster virus-ის ეტიოლოგიურ თავისებურებას?
287. რომელი ვირუსი იწვევს ჩუტყვავილას?
288. როგორი პათოგენური თავისებურება ახასიათებს ჩუტყვავილას გამოწვევს?
289. სად ხდება ჩუტყვავილას ვირუსის პირველადი რეპროდუქცია?
290. რომელი ეპიდემიოლოგიური თავისებურებით ხასიათდება ჩუტყვავილა?
291. როგორია ჩუტყვავილას პოსტინფექციური იმუნიტეტი?
292. რომელი ვირუსი იწვევს სარტყლისებერ ლიქენს?

293. რომელ ოჯახს ეკუთვნის სარტყლისებური ლიქენის ვირუსი?
294. რომელი ეპიდემიოლოგიური თავისებურება ახასიათებს სარტყლისებრი ლიქენის გამომწვევს?
295. ადამიანის ორგანიზმში სად ნარჩუნდება სარტყლისებური ლიქენის ინფექციის კერა?
296. რომელია Varicella Zoster virus-ის ტიპური კლინიკური სიმპტომი?
297. სიცოცხლისთვის საშიში რომელი გართულება შეიძლება გამოიწვიოს Varicella Zoster virus-მა იმუნოდეფიციტურ ავადმყოფებში?
298. რა თავისებურებით ხასიათდება Varicella Zoster virus-ის რეპროდუქცია?
299. რას იყენებენ იმუნიზაციისათვის ჩუტყვავილას ინფექციის კერებში?
300. რომელი პრეპარატია ეფექტური ჩუტყვავილას პრევენციისთვის?
301. რომელ პრეპარატს იყენებენ სარტყლისებრი ლიქენის სამკურნალოდ?
302. რომელი პრეპარატის გამოყენება არის სასარგებლო ვარიცელასა და ზოსტერის პრევენციისთვის იმუნოდეფიციტურ პირებში?
303. რა თავისებურებით განსხვავდება ციტომეგალოვირუსი ალფაჰერპესვირუსების ქვეოჯახის წარმომადგენლებისგან?
304. რა თავისებურებით ხასიათდება ციტომეგალოვირუსის რეპროდუქცია?
305. რა შეიძლება გამოიწვიოს ციტომეგალოვირუსმა?
306. რით ტარდება ციტომეგალოვირუსული ინფექციების სპეციფიკური პროფილაქტიკა?
307. რა გამოიყენება ციტომეგალოვირუსული ინფექციების სამკურნალოდ?
308. რომელი ვირუსი იწვევს ინფექციურ მონონუკლეოზს?
309. რომელი ვირუსი იწვევს ბერკიტის ლიმფომას?
310. რა თავისებურებით ხასიათდება ინფექციური მონონუკლეოზის პათოგენეზი?
311. რა წარმოადგენს ინფექციური მონონუკლეოზის წყაროს?
312. რომელია ინფექციური მონონუკლეოზის გადაცემის უპირატესი გზა?
313. რომელი ვირუსი შედის Poxviridae-ს ოჯახში?
314. რომელ ოჯახში შედის ნატურალური ყვავილის ვირუსი?
315. რომელ ქვეოჯახს ეკუთვნის ნატურალური ყვავილის ვირუსი?
316. რომელი ვირუსია ადამიანის ყვავილის ვირუსადმი ანტიგენურად და იმუნოგენურად მონათესავე?
317. რა მორფოლოგიური თავისებურებით ხასიათდება ადამიანის ნატურალური ყვავილის ვირუსი?
318. რა დმოკიდებულებას იჩენს ნატურალური ყვავილის ვირუსი გარემოს ფაქტორებისადმი?
319. რა თავისებურებით ხასიათდება ნატურალური ყვავილის ვირუსის რეპროდუქცია?
320. როგორი ეპიდემიოლოგიური თავისებურებაა დამახასიათებელი ნატურალური ყვავილის ვირუსითვის?
321. რა თავისებურებებით ხასიათდება ნატურალური ყვავილის პათოგენეზი?
322. როგორი იმუნიტეტი ყალიბდება ნატურალური ყვავილის მიმართ?
323. რით ტარდება ნატურალური ყვავილის სპეციფიკური პროფილაქტიკა?
324. ვირუსების რომელ ოჯახს ეკუთვნის მაიმუნის ყვავილის ვირუსი?
325. მაიმუნის ყვავილის ვირუსი თავისი ბიოლოგიური თვისებებითა და ანტიგენური სტრუქტურით ყველაზე ახლოს პოქსვირუსების ოჯახის რომელ წარმომადგენელთან დგას?
326. მაიმუნის გარდა ვისი დაინფიცირება შეუძლია მაიმუნის ყვავილის ვირუსს?
327. როგორ არის შესაძლებელი ადამიანის დასენებიანება მაიმუნის ყვავილის ვირუსით?
328. ვირუსების რომელ ოჯახს ეკუთვნის ძროხის ყვავილის ვირუსი?
329. ძირითადად რომელი ვირუსი გამოიყენება ადამიანის ნატურალური ყვავილის საწინააღმდეგო ცოცხალი ვაქცინის მისაღებად?
330. ვირუსების რომელ ოჯახს ეკუთვნის ე.წ. ვაქცინის ვირუსი?
331. ვირუსების რომელ ოჯახს ეკუთვნის კონტაგიოზური მოლუსკის ვირუსი?
332. უპირატესად ვის მიმართ არის პათოგენური კონტაგიოზური მოლუსკის ვირუსი?
333. უპირატესად რომელ სიმპტომს იწვევს კონტაგიოზური მოლუსკის ვირუსი?
334. უპირატესად რომელი გზით ხდება კონტაგიოზური მოლუსკის ვირუსის გადაცემა?
335. რომელი ჰეპატიტის ვირუსია დნმ-შემცველი?

336. ვირუსების რომელ ოჯახს ეკუთვნის A ჰეპატიტის ვირუსი?
337. ვირუსების რომელ გვარს ეკუთვნის A ჰეპატიტის ვირუსი?
338. რომელი ვირუსი იწვევს ეპიდემიურ ჰეპატიტის ანუ ე.წ. ბოტკინის დაავადებას?
339. Picornaviridae-ს ოჯახის რომელი გვარის წარმომადგენელთან დგას ახლოს მორფოლოგიურად A ჰეპატიტის ვირუსი?
340. ჩამოთვლილი მორფოლოგიური თავისებურებებიდან რომელი ახასიათებს A ჰეპატიტის ვირუსს (HAV)?
341. უპირატესად რომელი გზით ხდება A ჰეპატიტის ვირუსით დაინფიცირება?
342. ადამიანის ორგანიზმში სად ხდება A ჰეპატიტის ვირუსის პირველადი რეპლიკაცია?
343. რა წარმოადგენს A ჰეპატიტის ვირუსის დამაზიანებელი მოქმედების ძირითად სამიზნეს?
344. ყველაზე დიდი რაოდენობით როდის ხდება A ჰეპატიტის ვირუსის გამოყოფა განავლიდან?
345. რა წარმოადგენს A ჰეპატიტის ვირუსის ინფექციის წყაროს?
346. რა ტიპის იმუნიტეტი ყალიბდება A ჰეპატიტის ვირუსით მიმართ დაავადების გადატანის შემდეგ?
347. რომელი პრეპარატით არის შესაძლებელი A ჰეპატიტის ვირუსის სპეციფიკური პროფილაქტიკა?
348. რომელი ჰეპატიტის გამომწვევს უწოდებენ დენის ნაწილაკებს?
349. ვირუსების რომელ ოჯახს ეკუთვნის B ჰეპატიტის ვირუსი?
350. როგორი მორფოლოგიური თავისებურებით ხასიათდება B ჰეპატიტის ვირუსი?
351. რომელი ფერმენტია აუცილებელი B ჰეპატიტის ვირუსისთვის, რომ მოხდეს მისი რეპროდუქცია?
352. B ჰეპატიტის ვირუსის ანტიგენებიდან რომელ უწოდებენ ავსტრალიურ ანტიგენს?
353. B ჰეპატიტის ვირუსის ანტიგენებიდან რომელი არის გამოყოფილი HBc ანტიგენიდან ჰეპატოციტების პლაზმურ მემბრანაში გაფლის პროცესში?
354. B ჰეპატიტის ვირუსის ანტიგენებიდან უპირატესად რომელს გააჩნია გარკვეული დამოკიდებულება ჰეპატოციტების სიმსივნური ტრანსფორმაციის მიმართ?
355. რა თავისებურებით ხასიათდება B ჰეპატიტის ვირუსის (HBV) რეპროდუქცია?
356. რა წარმოადგენს ინფექციის შეჭრის კარიბჭეს B ჰეპატიტის შემთხვევაში?
357. რა თავისებურებით ხასიათდება B ჰეპატიტის პათოგენეზი?
358. რომელი იმუნური პროცესი შეიძლება განვითარდეს B ჰეპატიტის ქრონიკული ფორმის დროს?
359. რა თავისებურებით ხასიათდება B ჰეპატიტის ვირუსის დნმ-ის ინტეგრაციის პროცესი ჰეპატოციტების გენომში?
360. რა წარმოადგენს B ჰეპატიტის ინფექციის წყაროს?
361. რა გზით შეიძლება მოხდეს B ჰეპატიტის ვირუსის გადაცემა?
362. რომელი პრეპარატის გამოყენება ხდება B ჰეპატიტის აქტიური სპეციფიკური იმუნიზაციისთვის?
363. რომელი პრეპარატის გამოყენება არის რეკომენდირებული B ჰეპატიტის სამკურნალოდ?
364. რომელ ოჯახს ეკუთვნის C ჰეპატიტის ვირუსი?
365. რა მორფოლოგიური თავისებურებით ხასიათდება C ჰეპატიტის ვირუსის მორფოლოგია?
366. რომელია C ჰეპატიტის ვირუსის გადაცემის უპირატესი გზა?
367. რომელი თავისებურება ახასიათებს C ჰეპატიტს?
368. რომელი კლინიკურ-ეპიდემიოლოგიური თვისება ახასიათებს C ჰეპატიტს?
369. პრეპარატია რეკომენდირებული C ჰეპატიტის მკურნალობისთვის?
370. რომელ ოჯახს ეკუთვნის D (დელტა) ჰეპატიტის ვირუსი?
371. რა ფიზიოლოგიური თავისებურება ახასიათებს D ჰეპატიტის ვირუსს?
372. რომელი მორფოლოგიური თავისებურება ახასიათებს D ჰეპატიტის ვირუსს?
373. რომელი პათოგენეზური თავისებურება ახასიათებს D ჰეპატიტის ვირუსს?

374. ყველაზე უფრო მეტად რომელი ჰეპატიტის გამომწვევის ანალოგიური ეპიდემიოლოგია ახასიათებს D ჰეპატიტის ვირუსს?
375. უპირატესად რომელი გზით გადაეცემა D ჰეპატიტის ვირუსი?
376. რა მორფოლოგიური თავისებურებით ხასიათდება E ჰეპატიტის ვირუსი?
377. რომელი პათოგენური თვისებით განსხვავდება E ჰეპატიტის ვირუსი B და C ჰეპატიტის ვირუსებისგან?
378. რომელი ჰეპატიტის მსგავსი გადაცემის გზა აქვს E ჰეპატიტის ვირუსს?
379. როგორი მორფოლოგიური თავისებურება ახასიათებს G ჰეპატიტის ვირუსს?
380. სავარაუდოდ რომელი ვირუსის არსებობაა საჭირო G ჰეპატიტის ვირუსის რეპროდუქციისთვის?
381. რა წარმოადგენს G ჰეპატიტის ვირუსის რეზერვუარს ბუნებაში?
382. რომელია G ჰეპატიტის ვირუსის გადაცემის უპირატესი გზა?
383. რა სახით მიმდინარეობს G ჰეპატიტი?
384. რომელ ინფექციას შეიძლება ახლდეს სიმსივნეების განვითარება?
385. რომელი ინფექციური აგენტი არის მიჩნეული ონკოგენად?
386. ვირუსების რომელი გვარი შედის Poliomaviridae-ს ოჯახში?
387. ვირუსების რომელ ოჯახს ეკუთვნის SV₄₀ ვირუსი?
388. ვირუსების რომელ გვარში შედის SV₄₀ ვირუსი?
389. რომელ პათოლოგიას იწვევს ექსპერიმენტულ პირობებში პოლიომავირუსი?
390. რომელია მაიმუნის ვაკუოლების წარმოქმნელი ლიმფოტროპული ვირუსი?
391. შერჩევითად რომელ უჯრედებს აზიანებს JC პოლიომავირუსი?
392. ვირუსების რომელ ოჯახში შედის JC ვირუსი?
393. ვირუსების რომელ ოჯახში შედის HPV-16 ვირუსი?
394. ვირუსების რომელ გვარს ეკუთვნის HPV-16 ვირუსი?
395. რომელ პათოლოგიას იწვევს HPV-16 ვირუსი?
396. რომელ პათოლოგიას იწვევენ პაპილომავირუსები?
397. რომელი ჰერპესვირუსია სისმინური დაავადების გამომწვევი?
398. რომელი სახის სიმსივნეების განვითარებას იწვევენ გამაჰერპესვირუსები?
399. რომელი ვირუს-სპეციფიური ანტიგენების გამოვლენა ხდება ბერკიტის ლიმფომის უჯრედებში?
400. რომელი ფაქტორი თამაშობს გარკვეულ როლს ბერკიტის აფრიკული ლიმფომის განვითარებაში?
401. ვირუსების რომელი ოჯახის წარმომადგენელი ვირუსს მიაწერენ კაპოშის სარკომის განვითარებას?
402. შიდასით შეპყრობილი პირებიდან მიღებული კაპოშის სარკომის უჯრედები რომელი ვირუსის დნმ-ს შეიცავენ?
403. HHV-8-ს გარდა, კიდევ რომელ ვირუსს შეუძლია გამოიწვიოს კაპოშის სარკომა?
404. ადამიანის ნორმალურ პოპულაციაში (არა შიდასით შეპყრობილებში) განვითარებულ კაპოშის სარკომის უჯრედების რომელი ვირუსის დნმ-ის გამოვლინება ხდება?
404. რომელი პოქსვირუსები იწვევენ პრიმატებში (ზოგჯერ ადამიანებშიც) კანის კეთილთვისებიანი სიმსივნეების განვითარებას?
405. ვირუსების რომელ ოჯახს ეკუთვნის იაბას ვირუსი?
406. რის გამოვლენა ხდება ჰეპადნავირუსული ეტიოლოგიის ჰემატომებში?
407. რომელ ოჯახში შედიან ონკოგენური ვირუსები?
408. რომელი თავისებურება ახასიათებს ონკოგენური რეტროვირუსების რეპროდუქციას?
409. რომელი არსებითი ნიშნის მიხედვით არის დაყოფილი Oncovirinae-ს ქვეოჯახის წარმომადგენლები?
410. ვირუსების რომელ ოჯახს ეკუთვნის ბიტნერის B (თაგვების სარძევე ჯირკვალის კიბოს) ვირუსი?
411. ვირუსების რომელ ოჯახს ეკუთვნის რაუსის სარკომის ვირუსი?

412. ვირუსების რომელ ქვეოჯახს ეკუთვნის რაუსის სარკომის ვირუსი?
413. რეტროვირუსების ვირუსების რომელ გვარს ეკუთვნის რაუსის სარკომის ვირუსი?
414. რით განსხვავდება ადამიანის T-უჯრედოვანი ლეიკემიის ვირუსი აივ ვირუსისგან?
415. რა მორფოლოგიური თავისებურებით ხასიათდება ადამიანის T-უჯრედოვანი ლეიკემიის ვირუსი?
416. რა ფიზიოლოგიური თავისებურებით ხასიათდება ადამიანი T-უჯრედოვანი ლეიკემიის ვირუსი?
417. რა გზით გადაეცემა ადამიანის T-უჯრედოვანი ლეიკემიის ვირუსი?
418. რა მორფოლოგიური თავისებურებით ხასიათდება TTV?
419. რომელ უჯრედებში რეპროდუცირდება TT-ვირუსი?
420. რომელ ინფექციებს ახასიათებთ ხანგრძლივი საინკუბაციო პერიოდი, დაავადების ნელი პროგრესირება და ლეტალური შედეგი?
421. რა თავისებურება ახასიათებს ნელ ინფექციებს?
422. რომელი თავისებურება წარმოადგენს ნელი ინფექციების პათოგენზის საფუძველს?
423. მწვავე ვირუსული ინფექციების ეტიოლოგიური აგენტებიდან რომელმა შეიძლება გამოიწვიოს ნელი ინფექცია?
424. რომელ ვირუსს შეუძლია გამოიწვიოს ქვემწვავე მასკლეროზირებელი პანენცეფალიტი?
425. რომელი თვისებით განსხვავდება წითელას და ქვემწვავე მასკლეროზირებელი პანენცეფალიტის გამომწვევი ვირუსი ერთმანეთისგან?
426. რომელი ვირუსი იწვევს პროგრესირებად მრავალკეროვან ლეიკონცეფალოპათიას?
427. პროგრესირებადი მრავალკეროვანი ლეიკონცეფალოპათიის ვირუსი შერჩევითად რომელ უჯრედებს აზიანებს?
428. რომელ უჯრედებს აზიანებს შერჩევითად პროგრესირებადი მრავალკეროვანი ლეიკონცეფალოპათიის ვირუსი?

სპიროქეტა, რიკეტსია, ქლამიდია, მიკოპლაზმა

1. ჩამოთვლილთაგან რომელია სპიროქეტების მორფოლოგიური თავისებურება?
2. რას წარმოადგენს სპიროქეტების სამოდრო აპარატი?
3. რომელი გვარია პათოგენური სპიროქეტების ოჯახის წარმომადგენელი?
4. რომელ ინფექციას იწვევს *Treponema pallidum*, ქვესახეობა *pallidum*?
5. რომელ ინფექციას იწვევს *Treponema pallidum*, ქვესახეობა *pertenueum*?
6. რომელ ინფექციას იწვევს *Treponema pallidum*, ქვესახეობა *carateum*?
7. რომელ ინფექციას იწვევს *Treponema pallidum*, ქვესახეობა *endemicum*?
8. რომელი რივის მიკრობები იწვევენ დაავადებას ათაშანგს?
9. რომელი გვარის წარმომადგენლები იწვევენ დაავადებას ათაშანგს?
10. რომელი კულტურალურ-ბიოქიმიური თავისებურებაა დამახასიათებელი *Treponema*-ს გვარის წარმომადგენლებისთვის?
11. ბუნებაში ბინადრობის მიხედვით როგორი სახის ტრეპონემები არ გვხვდება?
12. რა თავისებურებით ხასიათდება ათაშანგის გამომწვევი ტრეპონემების ცილოვანი თერმოლაბილური ანტიგენი?
13. რა თავისებურებით ხასიათდება ათაშანგის გამომწვევი ტრეპონემას ლიპიდური ანტიგენი?
14. როგორი ეპიდემიოლოგიური თავისებურებით ხასიათდება ათაშანგის გამომწვევი?
15. როგორი იმუნობიოლოგიური თავისებურებით ხასიათდება ათაშანგის გამომწვევი?
16. რომელ საპროფილაქტიკო ღონისძიებას იყენებენ ათაშანგის მიმართ?
17. პათოგენური ტრეპონემებიდან რომელი გადაეცემა მწერებით?
18. პათოგენური ტრეპონემებით გამოწვეული რომელი ინფექციის მიმართ ტარდება აქტიური იმუნიზაცია ატენურირებული ცოცხალი ვაქცინით?
19. რომელი კულტურალური თავისებურება ახასიათებს ბორილიებს?
20. ბორელიებიდან რომელია ლაიმის დაავადების გამომწვევი?

21. ლაიმის დაავადების გამომწვევის მიერ სინთეზირებული რომელი სტრუქტურული კომპონენტი იწვევს იმუნოპათოლოგიურ რეაქციების განვითარებას და ამის საფუძველზე ართრიტის განვითარებას?
22. რომელია ლაიმის დაავადების გამომწვევის პათოგენობის ფაქტორები?
23. რომელია ლაიმის დაავადების გამომწვევის რეზერვუარი ბუნებაში?
24. რომელია ლაიმის დაავადების გადამტანი?
25. რით ტარდება ლაიმის დაავადების სპეციფიკური პროფილაქტიკა?
26. რომელია ეპიდემიური შებრუნებითი ტიფის გამომწვევი?
27. რომელია ეპიდემიური შებრუნებითი ტიფის ინფექციის წყარო?
28. დაავადებული ადამიანის ორგანიზმში სად იმყოფებიან ეპიდემიური შებრუნებითი ტიფის გამომწვევები?
29. რომელია ენდემური შებრუნებითი ტიფის გამომწვევის რეზერვუარი?
30. მიკრობიოლოგიური კვლევის რომელი მეთოდით არის შესაძლებელი ეპიდემიური და ენდემური შებრუნებითი ტიფის გამომწვევების დიფერენცირება?
31. რომელია ეპიდემიური შებრუნებითი ტიფის გადაცემის მექანიზმი?
32. ადამიანის ორგანიზმში სად ხდება შებრუნებითი ტიფის გამომწვევი ბორელიების გამრავლება?
33. რომელია შებრუნებითი ტიფის ბორელიების პათოგენეზის თავისებურება?
34. რომელ კლინიკურ თავისებურებას განაპირობებს შებრუნებითი ტიფის გამომწვევის ის თავისებურება, რომ მის ქომოსომაში გადაჯგუფების შედეგად ხდება “მდუმარე” გენების აქტივაცია და ახალი ანტიგენური ვარიანტების წარმოქმნა?
35. რომელი თავისებურება ახასიათებს შებრუნებითი ტიფის ბორელიებს ბიოსინჯის დადგმისას?
36. რომელია *L. interrogans*-ის მორფოლოგიური თავისებურება?
37. რომელი კულტურალურ-ბიოქიმიური თავისებურება ახასიათებს ლეპტოსპირებს?
38. როგორი ეპიდემიოლოგიური თავისებურება ახასიათებს ლეპტოსპიროზს?
39. ძირითადად რა სახის დაზიანებას იწვევენ ლეპტოსპირები?
40. როგორი ხასიათისაა იმუნიტეტი ლეპტოსპიროზის მიმართ?
41. რა თავისებურებით ხასიათდება ლეპტოსპიროზის პროფილაქტიკა?
42. რომელი მორფოლოგიური თავისებურებით ხასიათდებიან კამპილობაქტერიები?
43. რომელი ეკუთვნის კამპილობაქტერიების გვარს?
44. უპირატესად რას აზიანებს კამპილობაქტერიები?
45. რომელია კამპილობაქტერიების გადაცემის უპირატესი გზა?
46. რომელი ბიოქიმიური თვისება აქვს ყველაზე სუსტად გამოხატული კამპილობაქტერიებს?
47. როგორი ეპიდემიოლოგიური თავისებურებით ხასიათდებიან კამპილობაქტერიები?
48. უპირატესად რას აზიანებს *Helicobacter pylori*?
49. რომელი მორფოლოგიური თავისებურება ახასიათებს *Helicobacter pylori*-ის?
50. რომელი კულტურალური თავისებურება ახასიათებს *Helicobacter pylori*-ის?
51. რომელია *Helicobacter pylori*-ის მნიშვნელოვანი პათოგენობის ფაქტორი?
52. ადამიანის გარდა ჩამოთვლილთაგან კიდევ რომელია *Helicobacter pylori*-ის ინფექციის წყარო?
53. რაში გამოიხატება ჰელიკობაქტერიების ძირითადი კლინიკური გამოვლინებები?
54. მიკრობიოლოგიური დიაგნოსტიკით სწრაფი ინდიკაციის დროს კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის ლორწოვანში მაღალ აქტიური უარეაზას არსებობით, რომელი მიკრობისგან უნდა მოვახდინოთ *H. pylori*-ის დიფერენცირება?
55. რომელია *H. pylori* მიმართ სამკურნალო საშუალება?
56. რომელია *Spirillum minor*-ის მიერ გამოწვეული ცხელება?
57. რომელია *Spirillum minor*-ის ბუნებრივ რეზერვუარი?
58. ტალღისებური ცხელების გარდა რა არის დამახასიათებელი *S. minori*-ით გამოწვეული ინფექციისთვის?
59. რომელი მეთოდით ხდება სოლოკუს მიკრობიოლოგიური დიაგნოსტიკა?
60. რომელია რიკეტსიების ზოგად მიკრობიოლოგიური თავისებურება?
61. როგორი ანტიგენური თავისებურებით ხასიათდებიან რიკეტსიები?

62. რა ფუნქცია აკისრიათ რიკეტსიების პილეს?
63. რომელი არ არის რიკეტსიების პათოგენობის ფაქტორი?
64. რა თავისებურებით ხასიათდება რიკეტსიების კულტივირება?
65. რა თავისებურებით ხასიათდება სამიზნე უჯრედებთან რიკეტსიების ურთიერთობა?
66. უპირატესად რა სახის დაზიანებას იწვევენ რიკეტსიები ადამიანის ორგანიზმში?
67. რომელია რიკეტსიების გადაცემის გზა?
68. როგორი კლინიკური თავისებურება ახასიათებთ რიკეტსიოზებს?
69. რას წარმოადგენს “პირველადი აფექტი” ტიპისმიერი რიკეტსიოზის დროს?
70. რომელია რიკეტსიოზების მიკრობიოლოგიური დიაგნოსტიკის თავისებურება?
71. ვინ წარმოადგენს რისკის ჯგუფს რიკეტსიოზებისთვის და ვაქცინის არსებობის შემთხვევაში საჭიროა მათი იმუნიზაცია?
72. ჩამოთვლილი დაავადებებიდან რომლის გამომწვევია *R. prowazekii*?
73. *Rickettsiaceae*-ს ოჯახის რომელი გვარის წარმომადგენელი იწვევს დაავადებას ეპიდემიური პარტახტიანი ტიფი?
74. რომელია *R. prowazekii*-ით დაინფიცირების მექანიზმი?
75. რომელ ბაქტერიებთან აქვს საერთო ანტიგენები პროვანჯიკის რიკეტსიებს?
76. რომელია *R. prowazekii*-ს ბუნებრივი რეზერვუარი?
77. უპირატესად რომელი კლინიკური სიმპტომებია დამახასიათებელი *R. prowazekii*-ით გამოწვეული ინფექციითვის?
78. რით ტარდება ეპიდემიური პარტახტიანი ტიფის სპეციფიკური პროფილაქტიკა?
81. რომელი ნიშნით განსხვავდება ბრილ-ცინსერის დაავადება ეპიდემიური პარტახტიანი ტიფისგან?
79. რომელი ნიშნით განსხვავდება ბრილ-ცინსერის დაავადება ეპიდემიური პარტახტიანი ტიფისგან?
80. რომელი რიკეტსია იწვევს ენდემურ პარტახტიან ტიფს?
82. რომელია *R. typhi*-ის გადამტანი?
83. რომელ ბაქტერიასთან აქვს საერთო ანტიგენი *R. typhi*-ის?
84. ეპიდემიური პარტახტიანი ტიფისგან *R. typhi*-ით გამოწვეული ინფექცია რომელი ნიშნით განსხვავდება?
85. რა თავისებურებით ხასიათდება *R. typhi*-ის მიერ გამოწვეული ინფექციის ეპიდემიოლოგია?
86. რომელი ტიფი წარმოადგენს ფელიოზს?
87. რომელია კატის რწყილის ტიფის გამომწვევი?
88. რომელი ჯგუფის ინფექციურ დაავადებებს მიეკუთვნება კატის რწყილის ტიფი?
89. რომელი კლინიკური სიმპტომები ახასიათებს კატის რწყილის ტიფს?
90. რომელი რიკეტსიებით გამოწვეული ინფექცია მიეკუთვნება ტიპისმიერი რიკეტსიოზების ჯგუფს?
91. როგორი კლინიკური თავისებურებით ხასიათდება *R. acarii*-ით გამოწვეული ინფექცია?
92. რიკეტსიების რომელ ჯგუფ მიეკუთვნება მარსელის ცხელების გამომწვევი?
93. რომელ გვარს ეკუთვნის ცუცუგამუშის გამომწვევი რიკეტსია?
94. რომელ ოჯახში შედის ცუცუგამუშის გამომწვევი?
95. რომელთან აქვს საერთო ანტიგენები *Orientsia*-ს გვარის მიკრობებს?
96. რომელი კლინიკური სიმპტომი ახასიათებს *Orientsia tsutsugamushis*-ით გამოწვეულ ინფექციას?
97. რომელია ორიენციების იმუნოლოგიური თავისებურება?
98. რომელი მიკრობიოლოგიური თავისებურებით ხასიათდებიან ერლიხიები?
99. რომელია ერლიხიებით დასნებოვნების მექანიზმი?
100. რომელი გენოჯგუფი არ ეკუთვნის ერლიხიებს?
101. რომელი თავისებურებებიდან განსხვავდებიან ერლიხიოზები ტიპისმიერი რიკეტსიოზებისგან?
102. რომელია *Coxiella burneti*-ით გამოწვეული ინფექცია?
103. რომელია *Coxiella burneti*-ისთვის დამახასიათებელი მიკრობიოლოგიური თავისებურება?

104. ყველაზე უფრო ახლოს რომელი გვარის მიკრობებთან დგას გენეტიკური მახასიათებლების მიხედვით კოქსიელები?
105. რომელ რიკეტსიებთან აქვს საერთო ანტიგენები *Coxiella burneti*-ის?
106. რომელია Q-ცხელების გამომწვევის ძირითადი წყარო?
107. რომელია Q-ცხელების გამომწვევის გადაცემის უპირატესი გზა?
108. რომელია კოქსიელების პირველადი სამიზნე უჯრედები?
109. რომელია კოქსიელების დამატებითი (და არა პირველადი) სამიზნე უჯრედები?
110. რომელი ლაბორატორიული ტესტი მიუთითებს კოქსიელებით გამოწვეული დაავადების ქრონიკულ (უფრო ხშირად ენდოკარდიტი) ფორმაზე?
111. რომელია კოქსიელოზის ძირითადი სამკურნალო საშუალება?
112. როგორი თავისებურებით ხასიათდება კოქსიელოზის პროფილაქტიკა?
113. რომელი თავისებურება განაპირობებს მიკროსკოპულად ქლამიდიების მანტიისმაგვარი შესახედაობა?
114. რომელი სახეობა მიეკუთვნება ქლამიდიებს?
115. რომელია ქლამიდიებისთვის დამახასიათებელი მორფოლოგიური თავისებურება?
116. ძირითადად რომელი შედეგების მეთოდით არის შესაძლებელი ქლამიდიების გამოვლენა?
117. რომელი თავისებურებით ხასიათდება ქლამიდიების ელემენტარული სხეულაკები?
118. რომელი თავისებურებით ხასიათდება ქლამიდიების რეტიკულური ფორმები?
119. როგორი რეპროდუქციული თავისებურებით ხასიათდება ქლამიდიები?
120. რომელი თავისებურებით ემსგავსებიან ქლამიდიები რიკეტსიებს?
121. ქლამიდიების პათოგენობის ფაქტორებიდან, რომელს ახასიათებს ანტიფაგოციტური აქტიურობა, რაც ფაგოსომის ლიზოსომასთან შერწყმის დათრგუნვაში გამოიხატება?
122. ქლამიდიებიდან რომელი იწვევს ზოლითროპონოზულ ინფექციას?
123. ქლამიდიებიდან რომელი იწვევს სიბრმავეს?
124. ქლამიდიებიდან რომელი იწვევს ე.წ. ჰალბერშტედტერ-პროვანციის (H-P სხეულაკები) სხეულაკების წარმოქმნას?
125. უპირატესად რომელი გადაცემის გზა ახასიათებს *C. trachomatis* ბიოვარ *trachomatis*?
126. რომელი ქლამიდი იწვევს უროგენიტალურ ქლამიდიოზს?
127. იმუნიტეტის როგორი თავისებურებით ხასიათდება ტრაქომა?
128. გარდა ანტიბიოტიკებისა რა გამოიყენება ტრაქომის სამკურნალოდ?
129. რომელია ტრაქომის სპეციფიკური საპროფილაქტიკო საშუალება?
130. რომელია უროგენიტალური ქლამიდიოზის ძირითადი წყარო?
131. რომელია უროგენიტალური ქლამიდიოზის ძირითადი გზა?
132. რომელია უროგენიტალური ქლამიდიოზის იმუნიტეტის თავისებურება?
133. უპირატესად როდის ხდება *C. trachomatis* საწინააღმდეგო IgM-ის აღმოსაჩენად კვლევის სეროლოგიური მეთოდის გამოყენება?
134. რატომ არ ხდება ქლამიდიოზების დროს ბეტა-ლაქტამიდების გამოყენება?
135. რით ტარდება უროგენიტალური ქლამიდიოზის სპეციფიკური პროფილაქტიკა?
136. როგორი ეპიდემიოლოგიური თავისებურებით ხასიათდება ვენერიული ლიმფოგრანულემა?
137. როგორი იმუნოლოგიური თავისებურებით ხასიათდება ვენერიული ლიმფოგრანულემა?
138. რომელი მეთოდი გამოიყენება ვენერიული ლიმფოგრანულემის სადიაგნოსტიკოდ?
139. რომელია ვენერიული ლიმფოგრანულემის სპეციფიკური საპროფილაქტიკო საშუალება?
140. სხვა ქლამიდიებისგან განსხვავებით რა ახასიათებს *Chlamidia pneumoniae*-ს?
141. *Chlamidia pneumoniae*-ს რომელი თვისება უწყობს ხელს მის მიმაგრებას და ჩანერგვას ფილტვის ქსოვილში (რესპირატორულ ტრაქტში)?
142. რომელია *Chlamidia pneumoniae*-ს გადაცემის უპირატეს გზა?
143. რომელი იწვევს ორნითოზს?
144. როგორი ეპიდემიოლოგიური თავისებურებით ხასიათდება ორნითოზი?
145. რომელია დამახასიათებელი ორნითოზის იმუნიტეტისთვის?
146. რით ხორციელდება ორნითოზის სპეციფიკური პროფილაქტიკა?
147. უპირატესად რას აზიანებს მიკოპლაზმები?

148. რით განსხვავდებიან მიკოპლაზმები დანარჩენი პროკარიოტული მიკრობებისგან?
149. როგორი კულტურალური თავისებურებით ხასიათდებიან მიკოპლაზმები?
150. როგორი ბიოქიმიური აქტიურობა უნდა გააჩნდეს მიკოპლაზმას რომელიც ითვლება “ჰემოზინი” მიკოპლაზმად?
151. რა წარმოადგენს ურეაპლაზმის ენერჯის წყაროს?
152. რომელია მიკოპლაზმების პათოგენობის ფაქტორისთვის დამახასიათებელი თავისებურება?
153. რომელი მიკოპლაზმა ითვლება “უროგენიტალურ მიკოპლაზმად”?
154. რომელია მიკოპლაზმას გვარის მიკრობების გადაცემის ძირითადი გზა?
155. რომელია *U. urealyticum*-ის გადაცემის ძირითადი გზა?
156. რომელია მიკოპლაზმების ინფექციის წყარო?
157. რომელი თავისებურებაა დამახასიათებელი მიკოპლაზმების პათოგენობისთვის?
158. რომელი თავისებურებაა დამახასიათებელი მიკოპლაზმების პათოგენობისთვის?
159. რომელი თავისებურებებით ხასიათდება მიკოპლაზმების მიმართ იმუნიტეტი?
160. რომელ სეროლოგიურ რეაქციას იყენებენ ავადმყოფის სისხლის შრატში მიკოპლაზმების ანტიგენების აღმოსაჩენად?
161. კვლევის რომელი მეთოდი იძლევა საშუალებას გამოსაკვებ მასალაში თუნდაც ერთეული მიკოპლაზმური უჯრედი იქნას აღმოჩენილი?
162. რომელია მიკოპლაზმების ძირითადი სამკურნალო საშუალება?
163. რომელია მიკოპლაზმების სპეციფიკური საპროფილაქტიკო საშუალება?

მიკოლოგია

1. რა სახის მიკოზებს წარმოადგენენ კერატომიკოზები?
2. რა სახის მიკოზს მიეკუთვნება ქატოსებრი ნაირფერი ლიქენი (ფიტირიაზი)?
3. რომელ დაავადებას იწვევს *Malassezia furfur*?
4. რომელ დაავადებას იწვევს *Phytonomum orbicularae*?
5. რომელი სოკო იწვევს ქატოსებრ ლიქენს?
6. რომელი იწვევს შავ ლიქენს?
7. რომელი სოკო იწვევს შავ პედრას?
8. რომელი სოკო იწვევს თეთრ პედრას?
9. რა სახის მიკოზს იწვევს *Trichophyton tonsurans*?
10. სად პარაზიტობს *Trichophyton mentagrophytes* var. *mentagrophytes*?
11. რას იწვევს *Trichophyton mentagrophytes* var. *mentagrophytes*?
12. რომელი პათოგენური სოკოები იწვევენ ფავუს?
13. რა დაავადებას იწვევს *Trichophyton schoenleinii*?
14. რა წარმოადგენს ინფექციის წყაროს ბავშვებში ზოოფილური მიკროსპორით ინფიცირებისას?
15. რომელი პათოგენური სოკო იწვევს ე.წ. “მკრეჭელი სირსველის” განვითარებას?
16. რომელი მიეკუთვნება ზოოფილურ მიკროსპორიას?
17. რომელი გვარის სოკო ეკუთვნის დერმატოფიტებს, ანუ დერმატომიცეტებს?
18. როგორი ტიპის მიკოზებს მიეკუთვნება სპოროტრიქოზი?
19. სად ბინადრობს *Sporothrix schenckii*?
20. რა ტიპის მიკოზებს იწვევს *Sporothrix schenckii*?
21. რომელი ანტიბიოტიკები გამოიყენება *Sporothrix schenckii*-ით გამოწვეული სისტემური დაზიანებების დროს?
22. რომელი სოკოა ქრომობლასტომიკოზების გამომწვევი?
23. რა წარმოადგენს ქრომობლასტომიკოზების დამახასიათებელ ეპიდემიოლოგიურ თავისებურებას?
24. საიდან ხდება ქრომობლასტომიკოზის გამომწვევის შეჭრა ადამიანის ორგანიზმში?
25. რომელი რეპარატები გამოიყენება ქრომობლასტომიკოზის სამკურნალოდ?
26. რა დაავადებას იწვევს *Madurella grisea*?
27. რომელი სოკო იწვევს მიცეტომას?

28. რომელი ჯგუფის მიკოზებს მიეკუთვნება მიცეტომა?
29. რომელი სოკოა ამერიკული ჰისტოპლაზმოზის გამომწვევი?
30. მიკოზების რომელ ჯგუფს მიეკუთვნება ჰისტოპლაზმოზი?
31. რა წარმოადგენს *Histoplasma capsulatum*-ის რეზერვუარს ბუნებაში?
32. რომელი ცხოველები ავადდებიან ბუნებრივ პირობებში *Histoplasma duboisii*-ით?
33. რომელ პრეპარატს გააჩნია სამკურნალო ეფექტი სწრაფად პროგრესირებადი ჰისტოპლაზმოზის დროს?
34. რა სახის მიკოზს იწვევს *Blastomyces dermatitidis*?
35. რომელი პრეპარატებისადმი ავლენენ მგრძობელობას ბლასტომიცეტები?
36. რომელ პრეპარატს იყენებენ უპირატესად ბლასტომიკოზების სამკურნალოდ?
37. მიკოზების რომელ ჯგუფს მიეკუთვნება კრიპტოკოკოზი?
38. რა წარმოადგენს *Cryptococcus neoformans*-ის პათოგენობის ფაქტორებს?
39. ბუნებაში სად ბინადრობს *Cryptococcus laurentis*?
40. რა წარმოადგენს *Cryptococcus neoformans*-ის დაინფიცირების გზას?
41. რომელი სოკო იწვევს თავის ტვინის დაზიანებებს?
42. რომელი სოკოები მიეკუთვნება პირობით-პათოგენურ სოკოებს?
43. რა წარმოადგენს *Candida spp.*-ს პათოგენობის ფაქტორს?
44. რომლის სოკოს ტოქსინი იწვევს ჰეპატოცელულარული კარცინომის განვითარებას?
45. რომელი გვარის სოკოები იწვევენ ე.წ. “მეძველმანის”, “მენაგვეთა დაავადებას”?
46. ჩამოთვლილი სოკოებიდან რომელი ახდენს აფლატოქსინის პროდუქციას?
47. რა ეპიდემიოლოგიური თავისებურებით ხასიათდება ასპარგილოზი?
48. რომელი სოკოთი გამოწვეულ ინტოქსიკაციას წარმოადგენს სეპტიური ანგინა?
49. რომელი სოკო იწვევს ალიმენტურ-ტოქსიკურ ალექიკას?
50. რომელი სოკოთი ინფიცირებისას ხდება “მთვრალი პურის” სინდრომის განვითარება?
51. რომელი სოკოებია ცნობილი ე.წ. “წითელი ობის” სახელით?
52. რომელი სოკოთი ინფიცირებისას ვითარდება ბერი-ბერის სინდრომის გულის ფორმა?
53. რომელი სოკო იწვევს ამაზონის ბლასტომიკოზს?

პროტოზოოლოგია

1. რა სახით არსებობენ უმარტივესები?
2. რა ეწოდება ადამიანისა და ცხოველების პარაზიტული უმარტივესების შემსწავლელ მეცნიერებას?
3. უმატრივესების რომელ კლასს ეკუთვნიან ფესფეხიანები?
4. უმატრივესების რომელ კლასს მიეკუთვნებიან შოლტიანები?
5. უმატრივესების რომელ კლასს მიეკუთვნებიან ტრიპანოსომები?
6. უმატრივესების რომელ კლასს მიეკუთვნებიან ტრიქომონადები?
7. უმატრივესების რომელ კლასს მიეკუთვნებიან ლეიშმანიები?
8. უმატრივესების რომელ კლასს მიეკუთვნებიან ლამბლიები?
9. უმატრივესების რომელ კლასს მიეკუთვნებიან ამებები?
10. უმატრივესების რომელ კლასს მიეკუთვნებიან კოკციდიები?
11. უმარტივესების რომელ კლასში შედიან ტოქსოპლაზმები?
12. უმარტივესების რომელ კლასს მიეკუთვნებიან *Plasmodium*-ის გვარის პარაზიტები?
13. უმარტივესების რომელ კლასს მიეკუთვნებიან ბალანტიდიები?
14. სად ხდება დაყოფით *Tripanosoma gambiense*-ს გამრავლება?
15. სად ხდება დაყოფით *Tripanosoma rhodesiense*-ს გამრავლება?
16. რომელი პარაზიტი არის ლეთარგიული ძილის გამომწვევი?
17. რა გზით გადაეცემა *Tripanosoma cruzi*?
18. რომელი ლეიშმანია იწვევს კალა-აზარის დაავადებას (ვისცერალურ ლეიშმანიოზს)?
19. რომელი ლეიშმანია იწვევს აღმოსავლური წყლულს (კანის ანთროპონოზულ ლეიშმანიოზს)?

20. რომელი პარაზიტი იწვევს ლეიშმანიოზის სოფლის ფორმას (კანის ზოონოზურ ლეიშმანიოზს, პენდანის წყლულს)?
21. რომელი მწერი წარმოადგენს ლეიშმანიოზის გადამტანს?
22. რა სახის იმუნტეტი ყალიბდება ლეიშმანიოზის გადამტანის შემდეგ?
23. სად გადიან ლეიშმანიები პრომასტიგოტურ სტადიას?
24. რა წარმოადგენს ტრიქომონასების სამოდრაო აპარატს?
25. რა წარმოადგენს ტრიქომონასების დამახასიათებელ მორფოლოგიურ ნიშანს?
26. რომელი ტრიქომონა გვხვდება პირის ღრუს დაავადებების დროს?
27. რომელი გზით ვრცელდება ტრიქომონასები?
28. რომელი ტრიქომონა ბინადრობს ადამიანის ნაწლავებში?
29. უპირატესად რა გზით ხდება *Trichomonas hominis*-ით ინვაზია?
30. რა მორფოლოგიური ნიშნით ხასიათდება *Lambliia intestinalis*?
31. უპირატესად რა გზით ვრცელდება *Lambliia intestinalis*?
32. ჩამოთვლილთაგან რომელ გვარს ეკუთვნის ლამბლიები?
33. ადამიანის ორგანიზმის რომელ ბიოტოპში გვხვდება უპირატესად ლამბლიების ვეგეტაციური ფორმები?
34. უმარტივესების რომელ კლასს მიეკუთვნება *Entamoeba histolytica*?
35. რას აზიანებს უპირატესად ადამიანის ორგანიზმში *Entamoeba histolytica*?
36. უპირატესად რას იწვევს *Isospora belli*?
37. რომელი გვარი ეკუთვნის კოკციდიებს?
38. ადამიანის გარდა უპირატესად სად ხდება ტოქსოპლაზმოზის განვითარება?
39. რომელი მორფოლოგიური თვისება ახასიათებს ტოქსოპლაზმოზის გამომწვევს?
40. ტოქსოპლაზმებით დაინფიცირების რა ვადებში შეიძლება დადებითი იყოს ტოქსოპლაზმინით კანის ალერგიული სინჯი?
41. რა წარმოადგენს რისკ ფაქტორს ტოქსოპლაზმოზით დაავადებისათვის?
42. სპორიანებიდან რომელი მიეკუთვნება სისხლის სპორიანებს?
43. პლაზმოდოუმებიდან რომელია მიხნეული სამდლიანი მაღარიას გამომწვევად?
44. პლაზმოდოუმებიდან რომელია მიხნეული ტროპიკული მაღარიას გამომწვევად?
45. პლაზმოდოუმებიდან რომელია მიხნეული ოთხდლიანი მაღარიას გამომწვევად?
46. სად ხდება პლაზმოდოუმის უსქესო გამრავლება?
47. სად ხდება პლაზმოდოუმის გამეტების და სპოროზოიტების წარმოქმნა?
48. რა ეწოდება მაღარიის პლაზმოდოუმის სქესობრივ მომწიფებას?
49. რა ეწოდება მაღარიის პლაზმოდოუმის უსქესო მომწიფებას?
50. ბუნებაში რა წარმოადგენს მაღარიის პლაზმოდოუმის ძირითად მასპინძელს?
51. ბუნებაში რა წარმოადგენს მაღარიის პლაზმოდოუმის შუალედურ მასპინძელს?
52. რომელი მეთოდი გამოიყენება მაღარიის პლაზმოდოუმის მიკრობიოლოგიური დიაგნოსტიკისათვის?
53. რომელი პრეპარატი წარმოადგენს მაღარიის საწინააღმდეგოდ ყველაზე ეფექტურს?
54. უპირატესად რა გამოიყენება მაღარიის რეციდივების პრევენციისთვის?
55. რომელი გზით ხდება უპირატესად მიკროსპორიდიების გადაცემა?
56. რას იწვევენ ბლასტოციტის გვარის უმარტივესები?
57. უმარტივესების რომელ კლასს ეკუთვნის *Balantidium coli*?
58. რომელი ორგანო წარმოადგენს *Balantidium coli*-ის წინა, დასაწყის ნაწილს?
59. რომელი გვარის უმარტივესები იწვევენ მაღარიის მსგავს დაავადებას?
60. რით ტარდება ბალანტიდიების მიმართ აქტიური იმუნიზაცია?
61. რომელი გზით ხდება *Balantidium coli*-ით დაინფიცირება?